შპს აბბი ასეტ მენეჯმენტი

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება..... 6

სრული შემოსავლის ანგარიშგება..... 7

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება..... 8

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება..... 9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია..... 10
2. მომზადების საფუძველი 10
3. მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 12
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 12
5. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები 16
6. ძირითადი საშუალებები..... 17
7. არამატერიალური აქტივები..... 17
8. ინვესტიციები 18
9. ფული და ფულის ეკვივალენტები..... 18
10. სხვა ვალდებულებები..... 18
11. სხვა ხარჯები 18
12. თანამშრომელთა სარგებელი..... 19
13. წმინდა ფინანსური შემოსავალი..... 19
14. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები 19
15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებზე..... 20
16. პირობითი ვალდებულებები..... 20
17. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა..... 21

ტელ: +995 32 2545 845
ტელ: +995 32 2188 188
www.bdo.ge

ი. თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0179 თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აბბი ასეტ მენეჯმენტის" მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ **შპს აბბი ასეტ მენეჯმენტის** (შემდეგში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი საღერიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც გამოთქვა მოდიფიცირებული მოსაზრება ამ ანგარიშგების შესახებ 2020 წლის 18 მარტს. მოდიფიცირების საფუძველი იყო ის რომ კომპანიას არ ჰქონდა დანერგილი ფასს-9-ის მოთხოვნები, გაუფასურების ზარალი დათვლა არ ეფუძნებოდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელს. 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანიამ დანერგა ფასს-9-ის შესაბამისი გაუფასურების პოლიტიკა, რომელიც ასევე გავრცელდა შესადარის ინფორმაციაზეც. ფასს-9-ის გაუფასურების პოლიტიკის დანერგვას არ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა შესადარის ინფორმაციაზე.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის

შპს ბიდიო არის საქართველოში რეგისტრირებული შემღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობები

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნაგანმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა

ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტის შედეგებზე, ამ დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის ივანე ჟუჟუნაშვილი (SARAS-A-720718).

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

31 მარტი 2021

შპს აბბი ასეტ მენეჯმენტი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019 (რეკლასიფიცირებული შენიშვნა 5)
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	160,259	3,363
არამატერიალური აქტივები	7	45,629	-
აქტივის გამოყენების უფლება	14	52,414	-
სხვა აქტივები		1,989	8,243
ინვესტიციები	8	4,100	4,100
საბანკო დეპოზიტები 90 დღეზე მეტი ვადით		-	697,885
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	823,620	129,740
		1,088,011	**843,331**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	1	200,000	200,000
გაუნაწილებელი მოგება		551,545	628,830
		751,545	**828,830**
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	14	62,375	-
სხვა ვალდებულებები	10	269,431	13,046
საგადასახადო ვალდებულებები		4,660	1,455
		336,466	**14,501**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**1,088,011**	**843,331**

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2021 წლის 31 მარტს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ ო.გუვენი

მთავარი ბუღალტერი _____ დ.სურმანიძე

	შენიშვნა	2020	2019 (რეკლასიფიცირებული შენიშვნა 5)
შემოსავალი საბროკერო საქმიანობიდან		30	56,160
სხვა შემოსავალი		6,414	-
თანამშრომელთა სარგებელი	12	(63,678)	(30,974)
ცვეთა და ამორტიზაცია	6,7,14	(18,812)	(1,907)
სხვა ხარჯები	11	(119,186)	(27,155)
საოპერაციო ზარალი		**(195,232)**	**(3,876)**
წმინდა ფინანსური შემოსავალი	13	19,825	30,399
წმინდა მოგება საკურსო სხვაობიდან		98,122	47,712
მთლიანი სრული (ზარალი) შემოსავალი		**(77,285)**	**74,235**

10-27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს აბბი ასეტ მენეჯმენტი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	**200,000**	**596,700**	**796,700**
მფლობელების გატანები			
გაცემული დივიდენდები	-	(42,105)	**(42,105)**
მთლიანი სრული შემოსავალი	-	74,235	**74,235**
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	**200,000**	**628,830**	**828,830**
მთლიანი სრული ზარალი	-	(77,285)	**(77,285)**
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	**200,000**	**551,545**	**751,545**

10-27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს აბბი ასეტ მენეჯმენტი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:			
(ზარალი) მოგება დაბეგვრამდე		**(77,285)**	**74,235**
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	6,7,14	18,812	1,907
ძირითადი საშუალების ჩამოწერა		3,364	-
წმინდა ფინანსური შემოსავალი	13	(19,825)	(30,399)
წმინდა მოგება საკურსო სხვაობიდან		(98,122)	(47,712)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე		**(173,056)**	**(1,969)**
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში:			
სხვა აქტივების ზრდა		6,266	33,521
საბანკო დეპოზიტები 90 დღეზე მეტი ვადით შემცირება (ზრდა)		697,885	(56,580)
სხვა ვალდებულებების ზრდა		36,482	26,913
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა		3,205	1,189
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები		**570,782**	**3,074**
გადახდილი მოგების გადასახადი		-	-
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები		**570,782**	**3,074**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		-	(1,270)
საინვესტიციო საქმიანობიდან გასული წმინდა ფულადი სახსრები		**-**	**(1,270)**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები		-	(42,105)
მიღებული პროცენტები		22,155	30,399
ფინანსური საქმიანობიდან შემოსული (გასული) წმინდა ფულადი სახსრები		**22,155**	**(11,706)**
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა (შემცირება)		**592,937**	**(9,902)**
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	9	**129,740**	**130,059**
ფულისა და ფულის ეკვივალენტების გადაფასების ეფექტი		100,943	9,583
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	9	**823,620**	**129,740**

10-27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "აბბი ასეტ მენეჯმენტი" არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (205207970), რომელიც დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი N74 ა.

კომპანია საგადასახადო ორგანოში დარეგისტრირდა 2007 წლის 31 მაისს. შპს "აბბი ასეტ მენეჯმენტი" ეწევა საბროკერო საქმიანობას და რეგულირდება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით "საბროკერო კომპანიის ლიცენზირებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე". კომპანია ახორციელებს საბროკერო, საკონსულტაციო და აქტივების მართვის მომსახურეობებს. ასევე, ახორციელებს ფინანსური აგენტის მომსახურებას, ჩვეულებრივი აქციების კერძო და საჯარო განთავსებებს.

2020 წლის 23 ივლისს კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი გახდა ფიზიკური პირი ფატმა ოზთურქ გუმუშსუ (თურქეთი).

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მეწილეებს წარმოადგენდნენ:

	2020	2019
ფატმა ოზთურქ გუმუშსუ	100%	-
ბიძინა ბეჟუაშვილი	-	100%
	100%	**100%**

კომპანიის ზედამხედველია საქართველოს ეროვნული ბანკი. კომპანიას ეროვნული ბანკისგან განსაზღვრული აქვს კაპიტალის სავალდებულო მინიმალური მოცულობა, რომელიც შეადგენს 500,000 ლარს, კომპანია აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, დამატებითი ინფორმაცია მარეგულირებლის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე იხილეთ მე-16 განმარტებით შენიშვნაში

კომპანიის დირექტორი არის ოზგურ გუვენ.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის მენეჯმენტისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი საღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-17 შენიშვნაში. საღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში, მენეჯმენტმა გადაწყვიტა, რომ შეცვალოს სრული შემოსავლის ანგარიშგების წარდგენა. სრული შემოსავლის ანგარიშგების წარდგენა ეკონომიკური შინაარსის მიხედვით უფრო მკაფიოდ და გასაგებად ასახავს კომპანიის ბიზნეს საქმიანობას, ვიდრე ფუნქციების მიხედვით.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარმოდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნორიზებად მომავალში.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

კომპანიის ხელმძღვანელობასა და მეწილეებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2020 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2020 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7) და
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული იჯარის ხელშეკრულებებში ცვლილებები;
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება);
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც კომპანიამ გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა კომპანიას უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით. ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1-ლ იანვრამდე.

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რადგან მისი სავალო ინსტრუმენტები არ მოიცავენ კონვერტაციის პირობას.

სხვა

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე/არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

დაბეგვრა - ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არ არის. შედეგად კომპანია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე, იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებით გადასახადების და პროცენტის დარიცხვას. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, კომპანია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არააუდიტირებული წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებსა და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე.

სასამართლო დავები - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ანგარიშგებაში ჯერ არ მომხადარა, შეიძლება ჰქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს ერთი სასამართლო დავა (დეტალურად იხილეთ შენიშვნა 17).

4. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი
- სავალუტო რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.

დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

კომპანიას არ მოუხდენია არსებითი ცვლილებები წინა პერიოდებთან შედარებით ფინანსური ინსტრუმენტების რისკების, მისი მიზნების, პოლიტიკისა და ამ რისკების მართვის პროცესების ან მათი შეფასების მეთოდებში, თუ ასხვა რამ არ არის მითითებული.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები, რომლებსაც იყენებს კომპანია და საიდანაც წარმოიქმნება ფინანსური რისკები, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- სხვა აქტივები
- ფული და ფულის ეკვივალენტები
- საიჯარო ვალდებულებები
- სხვა ვალდებულებები

ყველა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით. ფული და ფულის ეკვივალენტების, სხვა აქტივების და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მათი მოკლევადიანი ბუნების გამო, შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

რეალური ღირებულების იერარქია

ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება განისაზღვრა შეფასების 1 დონით, სხვა აქტივების რეალური ღირებულება განისაზღვრა შეფაასების მე-2 დონით, ხოლო სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განისაზღვრა შეფასების მე-3 დონით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. მენეჯმენტი ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობას შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში.

იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დააზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურად მართვას.

კომპანიის საკრედიტო პოლიტიკით განსაზღვრულია ის აუცილებელი პროცედურები, რომლებიც უნდა ჩატარდეს საკრედიტო რისკის გასანეიტრალებლად.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი ამოღება ან დაფარვა. ცხრილი მომზადებულია კომპანიის მენეჯმენტის შიდა ინფორმაციის საფუძველზე.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდურობის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ერთ წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
სხვა აქტივები	1,989	-	**1,989**
ფული და ფულის ეკვივალენტები	823,620	-	**823,620**
	825,609	-	**825,609**
ფინანსური ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები	269,431	-	**269,431**
საიჯარო ვალდებულებები	37,085	37,085	**74,170**
	306,516	**37,085**	**343,601**
ლიკვიდურობის სხვაობა	519,093	(37,085)	
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	**519,093**	**482,008**	

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდურობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ერთ წლამდე
ფინანსური აქტივები	
სხვა აქტივები	8,243
საბანკო დეპოზიტები 90 დღეზე მეტი ვადით	697,885
ფული და ფულის ეკვივალენტები	129,740
	835,868
ფინანსური ვალდებულებები	
სხვა ვალდებულებები	13,046
ლიკვიდურობის სხვაობა	822,822
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	**822,822**

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანია არ ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან, რადგან არ ფლობს ფინანსურ ვალდებულებებს უცხოურ ვალუტაში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	აშშ დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
სხვა აქტივები	1,989	-	**1,989**
ფული და ფულის ეკვივალენტები	83,736	739,884	**823,620**
	85,725	**739,884**	**825,609**
ფინანსური ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები	269,431	-	**269,431**
საიჯარო ვალდებულებები	40,320	22,055	**62,375**
	309,751	**22,055**	**331,806**
ღია საბალანსო პოზიცია	**(224,026)**	**717,829**	**493,803**

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	აშშ დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
სხვა აქტივები	8,243	-	**8,243**
საბანკო დეპოზიტები 90 დღეზე მეტი ვადით	102,567	595,318	**697,885**
ფული და ფულის ეკვივალენტები	129,740	-	**129,740**
	240,550	**595,318**	**835,868**
ფინანსური ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები	13,046		**13,046**
ღია საბალანსო პოზიცია	**227,504**	**595,318**	**822,822**

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. წმინდა მოგებაზე და კაპიტალზე გავლენა დამყარებული აქტივების ღირებულებაზე 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2020		2019	
	20%	-20%	20%	-20%
აშშ დოლარის ეფექტი მოგება/(ზარალი)	143,566	(143,566)	119,064	(119,064)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი დაკავშირებულია საპროცენტო ხარჯის წარმომქმნელ ფინანსურ ინსტრუმენტებთან, საპროცენტო რისკის ცვალებადობიდან გამომდინარე. კომპანია არ ფლობს სესხებს, შესაბამისად არ დგას საპროცენტო განაკვეთის რყევების რისკის ქვეშ.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს კომპანიის ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ისე რომ კომპანიამ გააგრძელოს მფლობელებისთვის უკუგება, და
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება აქციონერებისთვის.

კომპანია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. კომპანია მართავს საკუთარ კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

კომპანია 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით აკმაყოფილებს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ, მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნას, რომლის თანახმადაც კომპანიის საწესდებო კაპიტალში ფულადი შენატანი არ უნდა იყოს 500,000 ლარზე ნაკლები.

5. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში, მენეჯმენტმა გადაწყვიტა, რომ შეცვალოს სრული შემოსავლის ანგარიშგების წარდგენა. სრული შემოსავლის ანგარიშგების წარდგენა ეკონომიკური შინაარსის მიხედვით უფრო მკაფიოდ და გასაგებად ასახავს კომპანიის ბიზნეს საქმიანობას, ვიდრე ფუნქციების მიხედვით.

კომპანიის მენეჯმენტმა განახორციელა გარკვეული რეკლასიფიკაციები წარდგენის მიზნებისთვის. აღნიშნული რეკლასიფიკაციები განხოციელდა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და წარდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ანგარიშგების არე	რეკლასიფიკაციამდე	რეკლასიფიკაცია	რეკლასიფიცირებული
მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	4,925	(4,925)	-
სხვა აქტივები	3,318	4,925	8,243
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	30,182	(30,182)	-
საგადასახადო ვალდებულებები	31,637	(30,182)	1,455
სხვა სრული შემოსავლები	(3,944)	3,944	-
გაუნაწილებელი მოგება	632,774	(3,944)	628,830
შემოსავალი	86,559	(86,559)	-
შემოსავალი საბროკერო საქმიანობიდან	-	56,160	56,160
ფინანსური შემოსავალი	-	30,399	30,399
თვითღირებულება	(15,438)	15,438	-
სხვა ხარჯები	-	(27,155)	(27,155)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(44,598)	44,598	-
თანამშრომელთა სარგებელი და კომპენსაციები	-	(30,974)	(30,974)
ცვეთა და ამორტიზაცია	-	(1,907)	(1,907)

6. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ისტორიული ღირებულება				
2018 წლის 31 დეკემბერი	**7,887**	**7,453**	**1,817**	**17,157**
შემოსვლა	1,270	-	-	**1,270**
2019 წლის 31 დეკემბერი	**9,157**	**7,453**	**1,817**	**18,427**
შემოსვლა	142,997	12,092	13,880	**168,969**
გასვლა	(9,157)	(7,453)	(1,817)	**(18,427)**
2020 წლის 31 დეკემბერი	**142,997**	**12,092**	**13,879**	**168,969**
დაგროვილი ცვეთა				
2018 წლის 31 დეკემბერი	**(4,140)**	**(7,200)**	**(1,817)**	**(13,157)**
ცვეთა	(1,821)	(86)	-	**(1,907)**
2019 წლის 31 დეკემბერი	**(5,961)**	**(7,286)**	**(1,817)**	**(15,064)**
ცვეთა	(7,665)	(812)	(232)	**(8,709)**
გასვლა	5,961	7,285	1,817	**15,063**
2020 წლის 31 დეკემბერი	**(7,665)**	**(813)**	**(232)**	**(8,710)**
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2019 წლის 31 დეკემბერი	**3,196**	**167**	**-**	**3,363**
2020 წლის 31 დეკემბერი	**135,332**	**11,279**	**13,647**	**160,259**

7. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	ლიცენზიები	სულ
ისტორიული ღირებულება			
2018 წლის 31 დეკემბერი	**-**	**700**	**700**
შემოსვლა	-	-	**-**
2019 წლის 31 დეკემბერი	**-**	**700**	**700**
შემოსვლა	42,768	5,406	**48,174**
გასვლა	-	(700)	**(700)**
2020 წლის 31 დეკემბერი	**42,768**	**5,406**	**48,174**
დაგროვილი ამორტიზაცია			
2018 წლის 31 დეკემბერი	**-**	**(700)**	**(700)**
ამორტიზაცია	**-**	**-**	**-**
2019 წლის 31 დეკემბერი	**-**	**(700)**	**(700)**
ამორტიზაცია	(2,203)	(342)	**(2,545)**
გასვლა	-	700	**700**
2020 წლის 31 დეკემბერი	**(2,203)**	**(342)**	**(2,545)**
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2019 წლის 31 დეკემბერი	**-**	**-**	**-**
2020 წლის 31 დეკემბერი	**40,565**	**5,064**	**45,629**

8. ინვესტიციები

კომპანია 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობს 2%-იან წილს სს საქართველოს საფონდო ბირჟის აქციებში ღირებულებით 4,100 ლარი.

კომპანიის ინვესტიციის კლასიფიკაცია 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური ღირებულებით მოგება/ზარალში ასახვით.

კომპანიამ საკუთარი ძალებით მოიძია ის საჭირო და სრულყოფილი ინფორმაცია, რომელიც დაეხმარა კომპანიას დაედგინა ინვესტიციის საბალანსო ღირებულების არსებითად შესაბამისობა მის რეალურ ღირებულებასთან.

ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მისი რეალური ღირებულებისგან.

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2020	2019
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე (ლარში)	63,736	196
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე (სხვა ვალუტაში)	48,477	129,544
ფული ბანკში საბროკერო საქმიანობისთვის (ლარში)	20,000	-
დეპოზიტი*	691,407	-
	823,620	**129,740**

*კომპანიამ 2020 წლის სექტემბერში ტერა ბანკში განათავსა მოთხოვნამდე დეპოზიტი აშშ დოლარში, საპროცენტო სარგებელი შეადგენს 2%.

ფული და ფულის ეკვივალენტების დაყოფა ვალუტების მიხედვით განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

10. სხვა ვალდებულებები

	2020	2019
ვალდებულებები გრძელვადიანი აქტივების შესყიდვიდან	232,064	-
სახელფასო ვალდებულებები	3,979	-
სხვა	33,388	13,046
	269,431	**13,046**

სხვა ვალდებულებების განაწილება ვალუტების მიხედვით განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

11. სხვა ხარჯები

	2020	2019
პროფესიული და საკონსულტაციო მომსახურება	(60,627)	-
მივლინება	(14,795)	-
საკომუნიკაციო და კომუნალური ხარჯები	(10,814)	-
მარკეტინგული ხარჯები	(9,393)	-
ლიცენზიები ერთ წლამდე ვადით	(6,854)	
მცირეფასიანი ინვენტარი	(5,048)	-
იჯარა (შენიშვნა 14)	(1,869)	(15,438)
სხვა	(9,786)	(11,717)
	(119,186)	**(27,155)**

12. თანამშრომელთა სარგებელი

	2020	2019
ხელფასები	(55,211)	(30,974)
სხვა სარგებელი	(8,467)	-
	(63,678)	**(30,974)**

უმაღლესი ხელმძღვანელობის კომპენსაციები განმარტებულია მე-15 შენიშვნაში.

13. წმინდა ფინანსური შემოსავალი

	2020	2019
ფინანსური შემოსავალი მიღებული:		
დეპოზიტიდან	4,062	-
*სადეპოზიტო სერტიფიკატიდან	18,093	30,399
	22,155	**30,399**
ფინანსური ხარჯი:		
საიჯარო ვალდებულებებიდან (შენიშვნა 14)	(2,330)	-
	19,825	**30,399**

*კომპანიას 2019 წელს საქართველოს ბანკში განთავსებული ქონდა სადეპოზიტო სერტიფიკატები ლარში და აშშ დოლარში, საპროცენტო სარგებელი შეადგენდა 3.4%-იდან 9.25%-მდე, რომელთა სახელშეკრულებო ვადა 2020 წელს დასრულდა და სადეპოზიტო სერტიფიკატებზე არსებული ნაშთები გადავიდა მოთხოვნამდე დეპოზიტზე.

14. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

კომპანიას იჯარით აქვს აღებული ოფისი ფართით 196,35 კვ.მ ქ.ბათუმში. საიჯარო გადასახდელები ნომინირებულია როგორც ლარში ასევე აშშ დოლარში. გადასახდელებს ემატება საერთო სერვისების მომსახურების საფასური 1 კვ.მეტრზე 2 დოლარი (გადასახადების ჩათვლით), რომელიც შედის საიჯარო ვალდებულებში. გადასახდელები არის ფიქსირებული და არ შეიცავს ცვალებად გადასახდელებს. მენეჯმენტის მოლოდინით კომპანია საოფისე ფართს გამოიყენებს ორი წლის ვადით.

აქტივების გამოყენების უფლება შეიძლება წარდგენილ იქნას შემდეგნაირად:

2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-
შემოსვლა	59,973
ამორტიზაცია	(7,559)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**52,414**

საიჯარო ვალდებულებები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-
შემოსვლა	59,973
საპროცენტო ხარჯი	2,330
საკურსო სხვაობების ეფექტი	72
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**62,375**

იჯარები, რომლებიც წარმოადგენენ მოკლევადიან იჯარებს (არ შედიან ფასს 16-ის მოქმედების სფეროში) შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2020	2019
მოკლევადიანი იჯარები	1,869	15,438

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებზე

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ოპერაციები 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
	საერთო კონტროლის ქვეშ	საერთო კონტროლის ქვეშ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
სხვა ვალდებულებები	(262,292)	-
სრული შემოსავლის ანგარიშგება		
სხვა ხარჯები	(24,361)	-

უმაღლესი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
უმაღლესი მენეჯმენტის ანაზღაურება		
მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელო	-	27,683

16. პირობითი ვალდებულებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

დივიდენდების განაწილება

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, დივიდენდების გაცემის შემთხვევაში გადასახადელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 82,732 ლარი.

სასამართლო დავა

კომპანიის ძველ მფლობელსა (ბიძინა ბეჟუაშვილი) და სს საქართველოს ბანკს (მოსარჩელე) შორის მიმდინარეობს სასამართლო დავა კონდიქციური ვალდებულებებიდან გამომდინარე თანხის დაკისრებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება 2009 წლის 30 სექტემბერს გაფორმებული შაუამავლობის ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც დაიდო სს საქართველოს ბანკს, შპს აბბი მენეჯმენტს და BBAM Limited-ს შორის, ბანკის მიერ ზედმეტად ჩარიცხულ 514,696 ლარზე. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მან შეცდომით გაუგზავნა 18 ინვოისი შპს „აბი ასეტ მენეჯმენტ“-ს და ამ უკანასკნელმა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიიღო თანხა 514,696 ლარის ოდენობით.

16. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

2020 წლის 21 ივლისს ძველი მფლობელის მიერ შპს აბი ასეტ მენეჯმენტის სასარგებლოდ გაიცა მინდობილობა, რომლის საფუძველზეც კომპანიას მიენიჭა უფლებამოსილება ძველი მფლობელის სახელით აწარმოოს დავა. დავასთან მიმართებაში ასევე მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოება: შპს „აბბი ასეტ მენეჯმენტის“ წილის შესყიდვისას ძველ მფლობელსა და საზოგადოებას შორის გაფორმდა შეთანხმება (და გაიცა შესაბამისი საბანკო გარანტია), რომლითაც ძველმა მფლობელმა აიღო ვალდებულება, დავის საზოგადოების საწინააღმდეგოდ დასრულების შემთხვევაში, აუნაზღაუროს საზოგადოებას სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხა. პირველი სასამართლო სხდომა გაიმართა 2021 წლის 15 მარტს, სადაც სასამართლოს მიერ არ იქნა მიღებული რაიმე სახის გადაწყვეტილება. საქმის განხილვის ამ ეტაპზე კომპანია სრულყოფილად ვერ აფასებს დავის დასრულების შედეგებს.

მარეგულირებლის რეგულაციებთან შესაბამისობა

კომპანია რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. კომპანიის მიერ დასაკმაყოფილებელი რეგულაციები მოცემულია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ გამოცემული საბროკერო კომპანიის ლიცენზირებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე N145/04 ბრძანებაში.

N145/04 ბრძანებაში 2018 წელს შევიდა ცვლილებები, რომლებიც საბროკერო კომპანიებს ავალდებულებს, რომ მოახდინონ საკუთარი და კლიენტების აქტივების გამიჯვნა და რეკონსილაცია. კომპანია სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს, რასთან დაკავშირებითაც ამავე ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად ეროვნულ ბანკს წლიურ აუდიტირებულ ანგარიშგებასთან ერთად წარუდგენს აუდიტორის მიერ მომზადებულ წერილს ხელმძღვანელობისადმი და განცხადებას, რომ საბროკერო კომპანია აკმაყოფილებს N145/04 ბრძანების მე-9 მუხლში შესული ცვლილებით მოთხოვნილ რეგულაციებს.

17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა წელზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	დოლარი
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს აკლასიფიცირებს ერთ-ერთი კატეგორიის მიხედვით, რომლებიც ქვემოთ არის განხილული, დამოკიდებული აქტივის ფლობის მიზანზე. კომპანია არ ფლობს რეალური ღირებულებით სხვა სრული შემოსავალის ასახვით, თუმცა ფლობს ფინანსურ აქტივს რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალის ასახვით, რომელიც წარმოადგენს ინვესტიციებს. კომპანიამ გამოიყენა ის საჭირო და სრულყოფილი ინფორმაცია ინვესტიციის რეალური ღირებულების შესახებ, რომლითაც დაადგინა რომ, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი ინვესციტიციების საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მისი რეალური ღირებულებისგან. კომპანია ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას განსაზღვრავს საწყისი აღიარების დროს.

17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, როგორც ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში. აღნიშნულში შედის ყველა წარმოებული ფინანსური აქტივი.

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი, ინვესტიციების გარდა დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, ინვესტიციები დაკლასიფიცირდა „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“.

ამორტიზირებული ღირებულება

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აქტივს ფლობს იმ ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად. ფინანსური აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი.

გაუფასურების ზარალები მიმდინარე და გრძელვადიანი მოთხოვნებისთვის აღიარდება გამარტივებული მიდგომის შესაბამისად, ფასს 9 ის ფარგლებში ვადაგადაცილებების მატრიცის გამოყენებით იმის დასადგენად, თუ რა არის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. პროცესში კომპანია ახდენს მოთხოვნის გადაუხდელი ნაწილის ალბათობის შეფასებას. იმისთვის, რომ კომპანიამ განსაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები, მიღებულ ალბათობას ამრავლებს საკრედიტო ზარალებზე წარმოშობილი დეფოლტის შემთხვევაში.

იმ ფინანსურ აქტივებზე, რომელთა საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო რისკი, კომპანია ანგარიშობს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ბრუტო მეთოდით. იმ აქტივებზე, რომელსაც კომპანია განსაზღვრავს, რომ უკვე გაუფასურებულია, ანგარიშობს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ნეტო მეთოდით.

კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც მოიცავს სხვა აქტივებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე 3 თვემდე დაფარვის ვადით და მოთხოვნამდე დეპოზიტებს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე.

კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც ორი კატეგორია, იმის მიხედვით რა მიზნით ფლობს კომპანია ამა თუ იმ ვალდებულებას: რეალური ღირებულება მოგება ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსური ვალდებულებები. კომპანია არ ფლობს ფინანსური ვალდებულებებს რეალური ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც საიჯარო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება ან გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

რეალური ღირებულებით შეფასება

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულებით შეფასება და განმარტება. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. ხარჯები, რომლებიც გამოიყენება რეალური ღირებულების შეფასებისთვის, კლასიფიცირდება სხვადასხვა დონეზე, იმის მიხედვით თუ რამდენად შესამჩნევი ხარჯები არის გამოყენებული შეფასების მეთოდის განსაზღვრისთვის (რეალური ღირებულების იერარქია):

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული)
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპერიული მონაცემების მიხედვით, როგორიცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები (წლები)
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10
ოფისის აღჭურვილობა	5

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველ საანგარიშო პერიოდში, რათა შეფასება მოხდეს არის თუ არა საბალანსო ღირებულება მეტი შესაბამისი აქტივის აღდგენით ღირებულებაზე.

17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აღდგენითი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ამორტიზაციასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. კომპანია ფლობს განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა ხორციელდება თითოეული საანგაარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები (წლები)
პროგრამული უზრუნველყოფა	5
ლიცენზიები	5

ფასს 16 იჯარა

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანიამ აქტივის გამოყენების უფლება უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულების ღირებულებით, რომელიც უნდა შემცირდეს ნებისმიერი მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდებით და უნდა გაიზარდოს:

- საიჯარო გადახდებით, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივის გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანიამ ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდით. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

ფასს 15 - ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანია კლიენტებს სთავაზობს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის და საქართველოს საფონდო ბირჟის საბროკერო პლატფორმაზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ მომსახურებას.

მომსახურების გაწევა კლიენტის მიერ მოთხოვნილი ტრანზაქციის განხორციელებისას (აქციების ყიდვა, გაყიდვა, თანხების გადარიცხვა და სხვა), დროის კონკრეტულ მომენტში ხდება, აღნიშნულ ოპერაციებზე შემოსავალი ტრანზაქციის შესრულების დღეს აღიარდება.

გარიგების ფასის განსაზღვრა

კომპანია შემოსავლებს იღებს ფიქსირებული ფასით განსაზღვრული ხელშეკრულებებიდან, რომელიც დამოკიდებულია შესრულებულ ვალდებულებებზე კონკრეტულ თარიღში. ხელშეკრულებაში თითოეული ვალდებულებისთვის მითითებულია შესაბამისი საკომისიო.

კომპანიას ხელშეკრულების შესაბამისად არ აქვს არაფულადი ანაზღაურების შემთხვევები.

გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე

კომპანია ანაწილებს გარიგების ფასს თითოეული შესასრულებელი ვალდებულების მიხედვით, ფიქსირებული ფასების საფუძველზე, რომელიც მოიცავს მომსახურებასთან დაკავშირებულ საზღაურს.

ხელშეკრულების გაფორმების და ხელშეკრულების პირობების შესრულების დანახარჯები

დანახარჯები, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული ხელშეკრულებასთან მოიცავს ჰიდრო ელექტრო სადგურის თანამშრომლების ფიქსირებულ ხელფასებს. აღნიშნული დანახარჯები არ არის აღიარებული როგორც აქტივი და აღიარებულია როგორც ხარჯი, რომელიც წარმოადგენს ისეთ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელსაც საწარმო მაინც გასწევდა, იმის მიუხედავად, გაფორმდებოდა თუ არა ხელშეკრულება.

17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული დანახარჯები არ აღიარდება ცალკე აქტივად, რადგან ასეთი დანახარჯები არის ბასს 16 ძირითადი საშუალებები-ს მოქმედების სფეროში.

ხელფასები და თანამშრომლის სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია პროპორციულად შემოსავალთან ერთად.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის ,,დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირადაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.

ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;

გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირადპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

ბალანსის შედგენის თარიღის შემგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშნველობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოდან გასვლა.

ვალდებულების წამომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც ორგანიზაციამ უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან: ა) ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი); ბ) კანონმდებლობა; ან გ) სხვა კანონიერი ქმედება.

17. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქნება ორგანიზაციის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, ორგანიზაცია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, ორგანიზაცია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვადებულებებს.